საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1963 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

№ 25 (6614) 23 ივნისი ხუთშაბათი

## მკითხველო!

სამწუხაროდ, წარსულის მოგონებად გვექცა ურთიერთკონტაქტები, ჩვენი გაზეთის სამჯერადი სტუმრობა თითოეული თქვენთაგანის ოჯახში და კიდევ ბევრი რამ, მაგრამ ეს ცალკე ტკივილი და სასაუბროა.

ახლა მიმდინარეობს ხელმოწერა გაზეთ „ლეჩხუმზე". კიდევ რამდენიმე დღე და ხელმოწერა დასრულდება. მანამდე კი გვინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ: არ დარჩეთ „ლეჩხუმის" გარეშე, მით უფრო, რომ რაიონული გაზეთი ბევრი თქვენთაგანისთვის ერთადერთი, სწორედ ერთადერთი საინფორმაციო საშუალებაა.

გვწამს გაზეთის გამოწერა თითოეული თქვენთაგანის სურვილია, მაგრამ ხშირად ამაოდ ელით გაზეთს, რომელიც თქვენამდე ვერ აღწევს არა ერთი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო. ამის თაობაზე არა ერთხელ ვთქვით, დავწერეთ, მაგრამ ამ დაულაგებელ დროში ძნელია რისიმე მოწესრიგება.

ვფიქრობთ, ერთიანი ძალისხმევა დაგვჭირდება, რომ გაზეთის ყველა ნომერი თქვენამდე მოვიდეს. ჩვენ, ჩვენისმხრივ შევეცდებით ამას.

ზემოთ ვთქვით, გაგვიძვირდა თქო ურთიერთკონტაქტები, ამიტომ გვჭირდება იმის შეხსენება, რომ ჩვენი აბსოლუტურად ყოველი ნომერი რის ვაივაგლახით გამოდის და კვლავ გამოვა, გვაქვს გარანტია, რომ კვლავ ვიარსებოთ და გამოვიდეთ, ოღონდაც თქვენამდე მოაღწიოს ხმამ ჩვენმა, შევგისრულოთ დანაპირები.

ასე რომ, გაზეთი „ლეჩხუმი" მისი სარედაქციო კოლექტივი თქვენს გვერდითაა, თქვენს ინტერესებს ემსახურება. იჩქარეთ, არ დარჩეთ „ლეჩხუმის" გარეშე.

## გამოცდები, გამოცდები...

### სიმწიფის ატესტატზე

მიუხედავად დღევანდელობისთვის დამახასიათებელი სირთულეებისა და მეტისმეტად გამძაფრებული ყოფითი პრობლემებისა, ცხოვრება თავისი იდეალებითა და რომანტიზმით მაინც თავისი გზით მიდის. რაიონის სკოლებში დაირეკა ბოლო ზარი, გამოსაშვებ კლასებში მიმდინარეობს გამოცდები, მე—10 კლასებში კი მისაღები გამოცდებია.

წელს ცაგერის საშუალო სკოლას ორი მეთერთმეტე კლასი ამთავრებს. 43 ბავშვი მიიღებს საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატს და ამ გაუფერულებული ცხოვრების ფონზე ბევრი დამოუკიდებლობის გზას დაადგება, ბევრი კი უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე გავა.

კარგი ცოდნა გამოავლინეს ბავშვებმა პირველ გამოცდაზე, რომელიც 15 ივნისს ჩატარდა. საქართველოს ისტორიაში (მასწავლებელი ლარისა ახვლედიანი) 3 მოსწავლის გარდა ყველამ კარგი და ფრიადი შეფასება დაიმსახურა.

20 ივნისს მე—11 კლასელებს ქიმია—ბიოლოგიაში და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ჰქონდათ ზეპირი გამოცდა. კარგი მომზადებული წარდგნენ გამოცდაზე ქიმია—ბიოლოგიის პროფილური ჯგუფის მოსწავლეები (მასწავლებელი ნუნუ ჩაჩვეტაძე) 20 მოსწავლიდან ამ ჯგუფში 13—მა ფრიადი შეფასება მიიღო. პარალელურად კი არაპროფილური ჯგუფის 23 მოსწავლე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში აბარებდა ზეპირ გამოცდას (მასწავლებელი თინა დოლიძე). აქ წლიურ ნიშნებზე მაღალი შეფასება მიიღო მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა.

ასე რომ, გამოცდები ცაგერის საშუალო სკოლაში (დირექტორი ძახანა გოგასლიძე) მშვიდ, ნორმალურ ვითარებაში მიმდინარეობს. მასში სკოლის პედაგოგებთან ერთად მონაწილეობენ განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტისა და რაიონული საკრებულოს წარმომადგენლები.

გუშინ აქ წერითი გამოცდა ჩატარდა მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. განათლების სამინისტროს მიერ გადმოცემული თემები, „ცხოვრების მიღება—უარყოფის პრობლემა „განდეგილის" მიხედვით," „მეფობის—ცოდო—მადლი „დიდოსტატის მარჯვენის" მიხედვით", „მე რომ განათლების მინისტრი ვიყო", დაიწერა ორივე კლასში, რომლის შედეგებს უკვე აჯამებენ საგნის მასწავლებელი და საგამოცდო კომისიის წევრები.

კიდევ ერთი გამოცდა და რაიონის სკოლების გამოსაშვებ კლასებში გამოცდები დამთავრდება.

* * *

გამოცდების ციებ—ცხელებაა. სიმწიფის ატესტატის მისაღებად ორბელის საშუალო სკოლის 14 ბავშვი გადის გამოსაშვებ გამოცდაზე. პირველი ორი გამოცდა აქაც საქართველოს ისტორიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში იყო.

მოუთმენლად ელოდნენ ბავშვები 24 ივნისს, წერით გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწავლებელი ნატო მეშველიანი). განათლების სამინისტროს მიერ გადმოცემული სამივე თემა დაწერეს მეთერთმეტე კლასელებმა.

დღეს უკვე მე—10 კლასში მისაღები გამოცდები იწყება. მე—9 კლასებს ქართულ წერაში, გერმანულში, ისტორიასა და ქიმიაში აქვთ გამოცდები ჩასაბარებელი.

## ვერნისაჟი

### დიდებულია!— ამბობენ ცაგერლები

ნეონის ნათურების მკრთალი ნათელი თანაბრად ეფინება დარბაზს ისევე, როგორც საზეიმო განწყობა მოსავს ირგვლივ ყოველივეს. დამთვალიერებლები ჯგუფებად დგანან სურათებთან— შთაბეჭდილებას ვერ იტევს გული, საკამათოც არის რაღაც. მხატვარი დაინტერესებულთა კითხვებს პასუხობს. ღიმილიანი, აღტაცებული და ჩაფიქრებული სახეები, მერე ტრადიციული ა—ლა ფურშეტი—მხატვრისა და მისი შემოქმედებითი გზის დალოცვა, შეფასებანი და მადლიერება—სუფრასთან უფრო გულგახსნით თქმული.

ეს სურათი არც მეხსიერების სკივრიდანაა ამოქექილი და არც ევროპის რომელიმე სახელგანთქმული გალერეის ცხოვრებიდან აღებული—იგი შეგეძლოთ გეხილათ 15 ივნისს ცაგერის სურათების გალერეაში მხატვარ ნუგზარ კოპალიანის ნამუშევრების პერსონალურ გამოფენაზე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას მას წინ უძღოდა მეტად არასახარბიელო, მაგრამ ჩვენი ყოფისთვის გაცილებით უფრო ჩვეულებრივი სურათი—სწორედ გამოფენის გახსნის წინ ქალაქში კარგა ხნით გამოირთო შუქი და გალერეის მესვეურნი იძულებული გახდნენ ჩაბნელებულ დარბაზში დაეწყოთ ვერნისაჟი. ამიტომ ზოგმა დამთვალიერებელმა, ვინც ვერ გაუძლო გაჭიანურებულ უშუქობას და იმედგადაწურულმა დატოვა გალერეა, ფაქტიურად ვერ ნახა ეს შესანიშნავი გამოფენა და მხოლოდ ვერნისაჟზე მხატვრის შემოქმედების ანალიზის (რომელიც რაიონის კულტურის განყოფილების გამგემ ბატონმა ომარ ჭაბუკიანმა და გალერეის დირექტორმა ქალბატონმა ნათელა ლორთქუმალიძემ გააკეთეს) მოსმენით დაკმაყოფილდა.

არადა, ექსპოზიცია ნამდვილად ღირსშესანიშნავი იყო. მხატვარს გამოფენილი ჰქონდა ბოლო წლებში შესრულებული 27 ნამუშევარი. ამათგან 12 ფერწერული (უმეტესობა პეიზაჟი) ტილოა, დანარჩენი კი ორიგინალური ტექნიკით შესრულებული კომპოზიციები ეროვნულ და ბიბლიურ თემებზე. როცა ტექნიკის ორიგინალობაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ არა იდეას, ვინაიდან ერთიანი ფონიდან სალებავის ამოღების (ამოფხეკა) გზით სურათის შექმნა სულაც არაა ახალი იდეა, არამედ შესრულების ტექნიკას, რომელიც სრულიად განსხვავებულია და გაცილებით დახვეწილია დღემდე ცნობილ ხერხებთან შედარებით. იმდენად განსხვავებული, რომ ბევრი დამთვალიერებელი თავიდან ვერ მიხვდა, რასთან ჰქონდა საქმე—გრაფიკასთან თუ.. ბრწყინვალედ შესრულებულ ფოტოკოლაჟთან. ამ ახალი ტექნიკის ავტორი თავად მხატვარი გახლავთ და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ იგი უკვე გაბატონდა მის შემოქმედებაში.

ნუგზარ კოპალიანი 1986 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს ლეჩხუმში. იგი აქ ჩამოვიდა, როგორც მხატვარი და მასწავლებელი. სამხატვრო აკადემიაში მისმა სადიპლომო ნამუშევარმა „ფრიადი" შეფასება დაიმსახურა. (ცაგერის სამხატვრო სკოლაში ბევრმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ ნუგზარის ხელმძღვანელობით მიაღწია მხატვრულ ოსტატობას. ამ წლების მანძილზე ასწავლიდა და ხატავდა, მაგრამ დღემდე ლეჩხუმელებს მისი ნამუშევრების გამოფენა არ უნახავთ. ეს პირველი პერსონალურიც კულტურის განყოფილებისა და სურათების გალერეის დირექციის დაჟინებული თხოვნით განხორციელდა, და თანაც როდის, როცა ასე მოგვენატრა მხატვრობაც, მუსიკაც..

ღირს შევნიშნოთ, რომ დამთვალიერებელთა ინტერესი არამარტო შესრულების ორიგინალურმა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალზე დახვეწილმა ტექნიკამ გამოიწვია. აშკარად შეიმჩნეოდა დაინტერესება ბიბლიურ თემებზე შესრულებული კომპოზიციებით, თუმცა არანაკლები მოწონება დაიმსახურა „მეფე დავითმა", კომპოზიციებმა „9 აპრილი", „ვაჟა", „შავლეგო" (სახელწოდებები პირობითია, რადგან მხატვარი თვითონ იშვიათად ასათაურებს თავის ნამუშევრებს). ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო რამდენიმე სურათი იესო ქრისტეს ჯვარცმის თემაზე

(დასასრული მე—2 გვერდზე).

## ფოსტა

### უნდა მოგვარდეს

რესპუბლიკასა და რაიონში რომ ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემაა, ეს ყველასათვის ნათელია, მაგრამ საკითხავია, სანამ უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

ადამიანები ვიტანჯებით პირველი მოთხოვნილების საქონლის არქონით, მაგრამ მაინც ყველაზე მთავარი ჩვენი საარსებო წყარო—პურია. დადგენილი ნორმით დღეს ქალაქის თითოეული მცხოვრები 400 გრამ გამომცხვარ პურს იღებს, რაც, რა თქმა უნდა, არ გვყოფნის. პური მაღაზიაში იყიდება საკრებულოდან გადაცემული სიებით. ვინც ამ სიებს ნახავს, გაოცებული დარჩება. ვინ არ წერია მასში. არის ოჯახები, რომლებიც იღებენ ნორმით გათვალისწინებულზე ...ჯერ მეტს, იმით, რომ სიაში უწერიათ გათხოვილი ქალიშვილები, სიძეები და სხვები, რომლებიც რაიონს გარეთ ან სოფლად ცხოვრობენ და იქაც იღებენ პურს, შაქარს თუ სხვა პროდუქტებს. ჩანს ასეთი მდგომარეობა ხელს აძლევს სიების შემდგენელებს.

...ა დააშავეს იმ მოქალაქეებმა, ვინც ვერ მოახერხა ასეთი ზედმეტების ჩაწერა ოჯახში და 400 გრამ პურს იღებს, დღეში ნორმალურად ერთ ხელაც ვერ იკვებება.

ასეთი კითხვა ბევრჯერ დაისვა, მაგრამ უპასუხოდ დარჩა.

რა სიძნელეს წარმოადგენს რაიონული საკრებულოსა თუ სხვა მაკონტროლებელი ორგანოებ...თვის, რომ დაზუსტდეს სიები და ზედმეტი პური გადაუნაწილდეს მოსახლეობას?

იქნებ გამოჩნდეს ვინმე, რომ ეს საქმე მოაგვაროს.

ნორა ახვლედიანი.

ქ. ცაგერი.

---

## ს ი კ ე თ ე

აგერ უკვე რვა თვეა ქალაქ ცაგერის სასტუმრო „ლეჩხუმი" საქართველოს ზღვისპირა ქალაქ სოხუმიდან და მის ახლომახლო სოფლებიდან ლტოლვილები ბინადრობენ. სასტუმროს წინ ცაგერის ღვინის საწარმოა, ლამაზი ეზოთი და ვაზის ხეივნებით დამშვენებული. ამ საწარმოს ხელმძღვანელმა, ყოვლად მადლიანმა კაცმა მურმან აქსენტის ძე გუგავამ საწარმოს ეზო გაზაფხულზე ბოსტნებად დაურიგა ლტოლვილებს და ამის შესახებ მაშინვე მინდოდა დამეწერა გაზეთ „ლეჩხუმში" და რედაქტორთან, ბატონ ნოდარ ნემსაძესთან მივედი. მან ჩვეული ყურადღებით მიმიღო, მოიწონა გუგავას სიკეთე და ჭკვიანური რჩევით გამოსისტუმრა—იმ ბოსტნებზე უმჯობესია მაშინ დაწეროთ, როცა გაკეთდებაო.

ჰოდა აი, უკვე გაკეთდა, ფრთები შეისხა უსაზღვრო და უანგარო სიკეთემ და ეს წერილიც ლტოლვილების ბოსტნებში იწერება. 18 მაისის ადრიანი დილაა ლეჩხუმში ცხელი დღეები დაიჭირა, გვალვაა, მე და ჩემი მეუღლე, ორი შვილის დამკარგავი, გაუბედურებული დედა ბოსტანში ვართ ჩამდგარი, მე იქვე მადლიანი ხელებით გაკეთებულ ონკანთან წყალს ვიღებ და ნარგავებს ვრწყავთ. უკვე ყვავილი აქვს ლობიოს, მაღალ ტალავერზე რომაა ძირგული. პამიდორმა და კიტრმა ისე იხარა, მალე დაამშვენებს ლტოლვილების მწარე სუფრას, ასე რომ, საყიდელი აღარ იქნება, ანდა საიდ იყიდი, ძალიანაც რომ გინდოდეს.

თანდათან ჩამოდიან ლტოლვილები, ყველაზე წინ ჩემი მესაზღვრე ალექსანდრე ცაავა ჩამოვიდა, სოხუმში მეჯოგეს რომ ეძახდნენ, რატომაც არა? ...ა მეწველი ძროხა ჰყავდა, სულ კი 37 მსხვილფეხა პირუტყვის პატრონი იყო. ასეთმა კაცმა ფეხშიშველმა, უკაპეიკოდ გამოიქცა, არა უღელტეხილი და წვალებით ჩამოაღწია ...მის პირუტყვს და ...კარს ვინ ...იცის. ეს კაცია ახლა თავის ოჯახის წევრებთან ერთად ბოსტანს რომ რწყავს. იქვე თავიანთ ბოსტნებში ჯარასავით ტრიალებენ და იქ, აფხაზეთის ქართულ მიწაზე დატოვებულის სევდას და მონატრებას ოდნავ მაინც იქარვებენ ნოდარ და ნელი ჩაკვეტაძეები, ლენა და ზაურ ლომთაძეები, პინა და ჩიტო კოპალიანები და ყველა, ვინც „სასტუმრო" ლეჩხუმის მობინადრეა.

ეს ხომ მართლაც სიკეთეა, დიდი და უანგარო სიკეთე.

მადლობა, ენით გამოუთქმელი მადლობა ბატონ მურმან გუგავას ლტოლვილებისათვის გაღებული ამ სიკეთისათვის.

პიმენ ლეთოდიანი.

---

## დიდებულია!—ამბობენ ცაგერლები

დასასრული.

...ერ კიდევ დაუსრულებელი სურათები სერიიდან „აპოკალიფსი". შეიძლება, რომელიმე მათგანის მხატვრული გადაწყვეტა არ ეთანხმებოდეს მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის შეხედულებებს, ეს მხატვრის მსოფლმხედველობის საქმეა, მაგრამ ამ სურათების ესთეტიკური ღირებულება უდავოა და ...ეჭველი.

კარგი იქნებოდა, ეს წერილი ტრადიციული ფრაზით დაგვემთავრებინა—ექსპოზიცია თვენახევარი, ერთი თვე ან თუნდაც ერთი კვირა გასტანს—და ლეჩხუმელებს კიდევ ერთხელ ენახათ იგი, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოფენა უკვე დაიხურა და თანაც იმ საღამოსვე, ალბათ, ყველასთვის ადვილად გასაგები მიზეზით—გალერეას არ ძალუძს თავი...ნ აიცილოს სურათების გატაცების საფრთხე. მით უმეტეს, რომ ვერნისაჟის დღეს ექსპოზიციიდან გაქრა თოიძის ერთ—ერთი ნამუშევარი.

ასე რომ, გამოფენა ვერნისაჟს ვერ გაცდა და ალბათ, ზედმეტი იქნებოდა დამთვალიერებელთა შთაბეჭდილებების მოტანა, რასაც ჩვეულებრივ მნახველთა მისაზიდად აკეთებენ ხოლმე, მაგრამ.. ერთს მაინც გაგიზიარებთ ისეთივე სიამოვნებით, როგორითაც მე გამიზიარეს ...გი აღტაცებულმა ცაგერლებმა: დიდებულია! და დღემდე არ გვცოდნია, თუ ვინ გვყოლია..

ია ხმელიძე.

---

## ლტოლვილთა საყურადღებოდ!

ყოველგვარი დახმარება ლტოლვილებზე გაიცემა ლტოლვილის მიერ წარმოდგენილი მოწმობის მიხედვით 10 დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დამატებით გადანაწილდება ადგილობრივ ლტოლვილებზე.

ყველას, ვინც წარმოადგენს ლტოლვილის მოწმობას სხვა პირის სახელით, ჩამოერთმევა მოწმობები მანამ, სანამ არ დადგინდება ლტოლვილის ნამდვილი დროებითი ადგილსამყოფელი.

შენიშვნა: დახმარების გაცემისას პირადი გამოუცხადებლობის დროს მხედველობაში მიიღება მოხუცებულობა, ავადმყოფობა, მცირეწლოვანი ბავშვები და მათი დედები, სამხედრო მოსამსახურენი შესაბამისი ცნობებით.

ლტოლვილთა კომიტეტი.

---

## «არა ბრძნობდეთ უფრო მეტს, ვიდრე დაწერილა»

ანუ

### კიდევ ერთხელ ახალი ერესის შესახებ

ია ხმელიძე.

„იეღოვას მოწმეებს" და მათ მიმდევრებს რომ ჰკითხოთ, ახალი აღთქმით გაუქმდა ძველი რჯული და მასთან საღვთო შესაწირავიც. მაგრამ ვისაც ყურადღებით წაუკითხავს ახალი აღთქმის წერილები, მისთვის ცხადია, რომ ქრისტეს უბიწო სხეულის და უცოდველი სისხლის ერთგზის შეწირვით გაუქმდა არა საერთოდ შესაწირავი, არამედ მრავალგზის საღვთო სისხლიანი ზვარაკები, რომელთაც ძველი სჯული ყოვლადდასაწველებს უწოდებს. მაგრამ ეს შესაწირის ერთი სახეა მხოლოდ. ძველი აღთქმის ეკლესიაშიც არსებობდა საღვთო შეწირულობის წესი— მორწმუნენი ფულს, ნივთებს, ძვირფასეულობას, სურსათს წირავდნენ ტაძრებს. ეს საჭირო იყო ღვთისმსახურებისათვის და ტაძრების ასაშენებლად. ხომ გახსოვთ სახარებისეული ამბავი იმის შესახებ, ქვრივმა დედაკაცმა რომ ორი ლეპტა ჩააგდო შესაწირავში. „ნუთუ არ იცით, რომ ტაძრის მსახურნი ტაძრისგან ჭამენ, და საკურთხევლის მსახურნი საკურთხევლისგან იღებენ წილს?" ამბობს წმიდა მოციქული პავლე კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში (9; 13).

შესაწირავის ეს სახე არ უარუყვია ქრისტეს ეკლესიას. ამის დასტურია მოციქულთა ეპისტოლენი, რომლებშიც მრავალგზის არის ხაზგასმული ამგვარი შესაწირავის აუცილებლობა.

თვით უფალმა „უბრძანა სახარების მქადაგებელთ, რომ სახარებით ცხოვრობდნენ" (კორინთელთა მიმართ 9; 14).

„ვინ, რომელი მეომარი ომობს თავისი ხარჯით? ვინ ჩაყრის ვაზს და ყურძენს კი არა ჭამს? ვინ მწყემსავს ფარას და ცხვრის რძეს კი არ სვამს? ...განა ამასვე, არ ამბობს რჯულიც?

ვინაიდან მოსეს რჯულში სწერია, ნუ აუკრავ პირს ხარსა მლეწველსა...

ხოლო თუ ჩვენ სულიერი დავთესეთ თქვენში, განა დიდი რამე იქნება, თუ მოვიმკით თქვენგან ხორციელს?" ასე მსჯელობს იგივე მოციქული პავლე კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში.

მეორეგან იგი ამბობს:

„ხოლო წმიდათა შესაწირავისთვის, როგორც მე დავადგინე გალატელთა ეკლესიებში თქვენც ეგრე ყავით.

კვირის ყოველ პირველ დღეს თვითეულმა თქვენგანმა თავის მხრივ, შეძლებისდაგვარად, გადადოს და შეინახოს, რათა ჩემი მოსვლისას აღარ დაიწყოთ გროვება.

ხოლო როდესაც მოვალ, თქვენს მიერ არჩეულ ხალხს წერილებს გავატან და წარვგზავნი, რათა თქვენი შეწირულება ჩაიტანონ იერუსალიმს (კორინთელთა 16; 1—3).

ესეც პავლეს ეკუთვნის:

„თანაც ვერიდებით იმას, რომ ვინმემ დაგვგმოს ამ შემოწირულობის სიუხვის გამო, რასაც გვანდობენ ჩვენი მსახურებისას" (II კორინთელთა 8;20).

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ქრისტეს არ უარუყვია საღვთო შეწირულება, პირიქით, აკურთხა იგი, ...ა მის მიერ ხელდასხმულმა მოციქულებმა შეწირულობის შეგროვების წესი დანერგეს მაცხოვრის მიერ დაფუძნებულ ეკლესიაში. სხვანაირად, რატომ იტყოდა მოციქული პავლე ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში:

„ყველაფერი მივიღე და უხვადაც მაქვს; სავსე ვარ იმით, რაც ეპაფროდიტოსის ხელით გამომიგზავნეთ, როგორც ნელსურნელება, საამო შეწირულება, კეთილსასურველი ღმერთისთვის"?

ერთში კი არ ცრუობენ „იეღოვას მოწმეები"—უფალს მართლაც არ სურს სისხლიანი შესაწირავები. მორწმუნემ ეს უნდა იცოდეს, მაგრამ თუ უცოდინარობის გამო ის ღმერთს ჰპირდება პირუტყვის შეწირვას, დანაპირები უცილობლად უნდა შეასრულოს, ვინაიდან ღმერთს არ უყვარს სიტყვის შეუსრულებლობა. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს მართლმადიდებელი ღვთისმსახურნი ხალხს არ ასწავლიან სისხლიანი ზვარაკების მიზანშეუწონლობას, ესეც სიცრუეა, სწორედ რომ ასწავლიან. სხვა საქმეა, რომ ცოტანი გვყავს მღვდლები (ბოლშევიზმისგან თითქმის სრულად განადგურებულმა ეკლესიამ ჯერჯერობით მეტი ვერ შეძლო) და მათი სიტყვა ყველას ვერ წვდება.

გაგრძელება. დასაწყისი იხილე ლეჩხუმი №18—20, 22, 33.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

# გილოცავთ

**მარინე სვანიძეს, თემურ ახვლედიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
**მამუკა დადაშის ძე ახვლედიანი ოჯახით.**

---

**ნანი ჩარკვიანს, ტრისტან გოგებაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას.
**ცაგერის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი**

---

**მარინე სვანიძეს, თემურ ახვლედიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
**ლელა, რეზო, ნათია, ჯაბა ტვილდიანები.**

---

**მარინე სვანიძეს, თემურ ახვლედიანს**
გილოცავთ ბედნიერებას.
**ფიქრია, მურთაზ კოპალიანები.**

---

**ნანი ჩარკვიანს ტრისტან გოგებაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
**თამაზ მდივანი, კუკური ბერიძე, მუხრან ლიპარტელიანი.**

---

**მაყვალა ცხვედიანს**
გილოცავთ დაბადებიდან 50 წლისთავს. გისურვებთ ულევ სიხარულს.
**გია, ცაგუ, ჟორა, ირინა, ანგელინა, ნუნუ**

---

**მაყვალა ვალიკოს ასულ ცხვედიანს**
გილოცავთ დაბადების დღეს. იცოცხლეთ დიდხანს.
**მაია ბენიძე.**

---

**ლალი, გოგი კვირიკაშვილებს**
**ლილი გენდელიანს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გფარავდეთ ღმერთი.
**სოსო, სოზარ, ანზორ, ვახტანგ კვირიკაშვილები, ნოდარ კოპალიანი ოჯახებით.**

---

**თამრიკო, რამაზ, ეთერ ამბერკი სილაგაძეებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**სოსო, სოზარ, ანზორ, ვახტანგ კვირიკაშვილები, ნოდარ კოპალიანი ოჯახებით.**

---

**ციცო, ზვიად, მერი, გურამ ბერიძეებს**
გილოცავთ ვაჟიანობას.
**ზაალ ჩაკვეტაძე, ვანიკო დანელია, სპარტაკ გვასალია.**

---

**ზვიადი, ციცინო ბერიძეებს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.
**ტარიელ, იზა, გიორგი ლიპარტელიანები.**

---

**ირინე ფხაკაძეს, კოგა კოპალიანს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.
**ციცო, გელა კოპალიანები.**

---

**ლალი ლეთოდიანს, გოგი კვირკაშვილს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
**ციცო, გელა კოპალიანები.**

---

**ნანი ჩარკვიანს, ტრისტან გოგებაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. იმრავლეთ, იდღეგრძელეთ.
**ლანა, ლელა, ლაშა ბურჯალიანები.**

---

**ხათუნა სანთელაძეს**
გილოცავთ ცეზარისა და დალის ბედნიერებას.
**შენი თანამშრომლები.**

---

**ლელა კვირკაშვილს**
გილოცავთ მულიშვილის შეძენას.
**შენი თანამშრომლები.**

---

**მერი, გურამ ბერიძეებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს თანამშრომლები.**

---

**თორნიკე მამუკას ძე სვანიძეს**
გილოცავ დაბადების დღეს. გფარავდეს ღმერთი.
**ნათია ბესიკის ასული კვენეტაძე.**

---

**ლალი ლეთოდიანს, გოგი კვირკაშვილს**
ვაჟის შეძენას გილოცავთ. გამრავლდით და გაიხარეთ.
**ჩხუტელის საშუალო სკოლის პედკოლექტივი.**

---

**შურა, გივი გუგავებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას
**ლვირიშის საკრებულოს თანამშრომლები.**

---

**თამრიკო, რამაზ სილაგაძეებს**
**ეთერ, ამბერკი სილაგაძეებს**
გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**ამირან და გოგი კვირკაშვილები.**

---

**ჯიბილო მიქაძის ოჯახს**
გილოცავთ გოგის ბედნიერებას.
**ვანო სვანიძე ოჯახით.**

---

**ლალი ლეთოდიანს, გოგი კვირკაშვილს**
გილოცავთ ვაჟიანობას. იმრავლეთ, იბედნიერეთ.
**მელორ დავითულიანი ოჯახით.**

---

**ლალი ლეთოდიანს, გოგი კვირკაშვილს**
გილოცავთ ვაჟიანობას.
**იზო გოგოხიძე, გოგი გოლეთიანი ოჯახებით.**

---

**მაყვალა ცხვედიანს**
**მაია ბენიძეს**
გილოცავთ [illegible] დღეს.
**ნატო, გელა კოპა- ლიანები.**

---

**ლალი ლეთოდიანს,**
**გიორგი კვირკაშვილს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ კარგი ვაჟკაცი.
**შორენა, როსტომი.**

---

# ხსოვნა

## ვახტანგ გიგას ძე ახვლედიანი



ძნელია, საოცრად ძნელია შევეგუოთ იმას, რომ ჩვენს შორის აღარაა სიკეთითა და კეთილშობილებით სავსე, მუდამ საქმით დატვირთული, უღალატო და უერთგულესი მეგობარი, მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტი, აგრომრეწვბანკის განყოფილების მმართველის მოადგილე ვახტანგ გიგას ძე ახვლედიანი.

18 წელი მუშაობდა იგი აღნიშნულ დაწესებულებაში. ხასიათდებოდა მაღალზნეობრივი ადამიანური თვისებებით, ახალგაზრდა კაცს უსაქმოდ ვერავინ ნახავდა. იმ დღისაც შრომით დაღლილი შინ ბრუნდებოდა და სიკვდილი მის ჭიშკრამდე რამდენიმე მეტრში წამოეწია.

სიცოცხლეს ერჩია სოფელი ზუბი, სადაც დაიბადა. მამა ჭაბუკობის ასაკში დაკარგა და, როგორც ყველაზე უფროსი შვილი, მხარში ედგა დედას, ქალბატონ ნუცას უმცროსი და-ძმების ბაზრდა-დავაჟკაცებაში. თითქოს ყველაფერი ნორმალურად წარიმართა, ღირსეული მეუღლეც შეხვდა, ქალ-ვაჟის შეძენითა და დაფრთიანებითაც გაიხარა, მაგრამ უდროოდ, 40 წლისამ უღალატა ოჯახს, მეგობრებს, სამსახურს, რომელიც მისი მეორე ოჯახი იყო.

ძნელია უყურო ძაძებში გახვეულ მის დედას, მეუღლეს, რომელსაც 8 წლის შემდეგ გაუტყდა გული. მეუღლესთან ერთად დამარხა პირადი ბედნიერება სიცილიც და იმედიც მას გააყოლა სამარეში. ძნელია გაუძლო ვახტანგის პატარების გიორგის და თამუნას თვალებში ჩამდგარ სევდას.

ვახტანგის დაკარგვა არანაკლები უბედურებაა ჩვენთვის. დაუვიწყარია მისი ლამაზი გარეგნობა, იუმორით შეზავებული ღიმილი ჩვენს ვახტანგის დიდი ხნის არდავიწყება უწერია მის თანამშრომლებსა და ნაცნობ-მეგობრებში.

ასუბუქი იყოს ვახო შენთვის ის მიწა, სადაც სიკეთეს თესდი.

**აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები.**

---

რუბენ ჩაკვეტაძე ოჯახით იუწყება
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალებას.

---

სოგრატ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ვარლამ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ვახტანგ გიგას ძე ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

გია ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნუცა ახვლედიანის ოჯახს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ლვირიშის სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს ჟორა სვანიძეს სიძის
**გეგიას**
გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მამუკა ახვლედიანს ძმის
**ვახტანგის**
გარდაცვალების გამო.

---

გრიგოლ ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს გუგუნა და შალვა ჩარკვიანებს შვილიშვილის
**ნინოს**
გარდაცვალების გამო.

---

ბორის მამარდაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ბადრი სვანიძის ოჯახს
**ჯუმბერ კოპალიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ოთარ, დათო კორძაიები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**რეზო კორძაიას**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის კომუნალური მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გურამ ყურაშვილს დიდაშვილის
**კარლო გახსოლიანის**
გარდაცვალების გამო.

---

დავით ყურაძვილი, დათო ცვარიანი ოჯახებით იუწყებიან
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შალვა ცისილაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**რეზო კორძაიას**
გარდაცვალების გამო.

---

ჯიმშერ ხაბულიანი ოჯახით თანაუგრძნობს მამუკა ახვლედიანს ძმის
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

შალვა, ჯიბილო, შოთა ბურჯალიანები, ფაზალა გახსოლიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ უჩა ბურჯალიანის ოჯახს
**ლოლას**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სასურსათო კომბინატის კოლექტივი თანაუგრძნობს ლედი ყურაშვილს დიდაშვილის
**კარლო გახსოლიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის აგრომრეწვბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნუცა ცვარიანს დიდის
**ოლია მუშკუდიანის**
გარდაცვალების გამო.

---

სურმაზ, ბადრი ახვლედიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ვახტანგ გიგას ძე ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

ზურა ხეცურიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

---

მარიამ გამსახურდია ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ვლადიმერ ირემაძის**
გარდაცვალების გამო.

---

ვენერა გოლეთიანი, ანზორ ჩაკვეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ თემურ კოპალიანს ბიძის
**ჯუმბერის**
გარდაცვალების გამო.

---

რაიაგრეშუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაია გუგავას ბებიის
**ნინას**
გარდაცვალების გამო.

---

ვაჟა, ოთარ კვენეტაძეები, ზაურ ახვლედიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**კარლო გახსოლიანი**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლე სარა, დედმამიშვილები ვარდო, გედეონი, რძალი ლილი, დისშვილები მზთანა, ავთო, მზია, ძმისშვილები დათო, მანანა, გია, ვალერი, ალეკო, ცოლისდები ძაშა, ლუბა, ცოლისდისშვილები ბორისი, ჯონი, ვახტანგი, გენადი, როლანდი, გეჟანი, გიძაშვილები სოზარი, ნოდარი, ცოლისდეიდაშვილები შალვა, ვალოდია, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ირემაძე.**

გოჩა მურცხვალაძე, ზურიკო სილაგაძე, გენადი ძნელაძე, შოთიკო კოპალიანი, ჯონი მეშველიანი, ვალერი ბენდელიანი, გია ჭილვარია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**რეზო შოთას ძე კორძაია.**

ცაგერის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეები, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ციცინო ნემსწვერიძე თანაუგრძნობენ მირანდას და მირიანს მამის
**რეზო კორძაიას**
გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ბესო, გიჟიკო გურგუჩიანები, კაკიტო ნემსწვერიძე, სერაპიონ ბურჯალიანი თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**კარლო ერმილეს ძე გახსოლიანის**
გარდაცვალების გამო.

ნინო, ვანიკო დანელიები თანაუგრძნობენ მიმოზა, აიდრო ბურჯალიანებს ძმისა და ცოლისძმის
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

ვარლამ ხეცურიანი, გოგი შუბითიძე, თამაზ ყურაშვილი, თემურ ხაბულიანი, ზაურ კვირკაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

ლამარა კოპალიანი, მერი ხაბულიანი, რუსიკო ომანაძე, ავთო მუშკუდიანი, გივი მდივანი თანაუგრძნობენ მიმოზა ახვლედიანს ძმის
**ვახტანგის**
გარდაცვალების გამო.

ვილგემ მეშველიანი, გიჟიკო რეხვიაშვილი, დავით სვანიძე, გურამ ყურაშვილი, თემურ სილაგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

ქალაქ ცაგერის საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ გურამ ყურაშვილს დისშვილის
**კარლო გახსოლიანის**
გარდაცვალების გამო.

ლაშა ბურჯალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ოლია მუშკუდიანის**
გარდაცვალების გამო.

ავთო ჩორგოლიანი ოჯახით თანაუგრძნობს სულიკო, ვენერა კორძაიებს, მეუღლისა და შვილის
**რეზო კორძაიას**
გარდაცვალების გამო.

მეუღლე თამარი, შვილები მანანა, ავთანდილი, დები გოგუცა, ლენა, ლონდა, ძმები გივი, ჟორა, რძლები ნინო, ლენა, მერი, ნანა, სიძეები შალვა ყურაშვილი, ბესიკ გურეშიძე, შურა დიდებაშვილი, შვილიშვილები როზა, თამარი, თორნიკე, ცოლისძმები, ცოლისდები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**შამშე თეოფანეს ძე გოლეთიანი.**

ოთარ, მზია ბაკურაძეები, ავთო ჩორგოლიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ნაზი, გუგული ხაბულიანებს დისშვილის
**ნინო ჩარკვიანის**
გარდაცვალების გამო.

დიტო ხეცურიანი ოჯახით თანაუგრძნობს მურთაზ ახვლედიანის ოჯახს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

ზურაბ, გუჯუ სვანიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**რეზო კორძაიას**
გარდაცვალების გამო.

დარეჯან, ხვიჩა სვანიძეები ოჯახით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

თამაზ ტვილდიანი, გია ბურჯალიანი, ზაირა ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის საწარმოო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნუცა ჩაკვეტაძის ოჯახს
**ვახტანგის**
გარდაცვალების გამო.

კარლო თოთაძე, თენგულ კოპალიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1974 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ნოდარ ახვლედიანს ძმის
**ვახტანგის**
გარდაცვალების გამო.

შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

არქივის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა ლომთაძეს დედის
**ნინა ლომთაძის**
გარდაცვალების გამო.

ოთარ სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ბადრი სალინაძის ოჯახს
**ასმათ ბურჯალიანის**
გარდაცვალების გამო.

ოთარ სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს უჩა ბურჯალიანის ოჯახს
**ლოლას**
გარდაცვალების გამო.

შვილები მედიკო, უშანგი, ნინელი, მურთაზი, რძლები თინა, მზია, სიძეები ბიძინა ბურჯალიანი, ჟორა მახარობლიძე, მერაბ ფრუიძე, ძმისშვილი შოთა, შვილიშვილები ქეთინო, ნუგზარ, ირაკლი, ირმა, ბახვა, კახა, გაგა, ცოლისძმები, ცოლისდები, ქვისლები ოჯახებით იუწყებიან
**ევგენ გაგრატის ძე სილაგაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 ივნისს, კვირას, სოფ. ლეშკედაში.

ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლედი და გურამ ყურაშვილებს
**კარლო გახსოლიანის**
გარდაცვალების გამო.

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ ბენიძის, გურამ ყურაშვილის, გელა ხვადაგიანის ოჯახებს
**კარლოს**
გარდაცვალების გამო.

გელა იონას ძე კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ჯუმბერ კოპალიანის**
გარდაცვალების გამო.

მირზა ხეცურიანი, გია ნემსწვერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ მიმოზა, ანდრო ბურჯალიანებს ძმისა და ცოლისძმის
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

მაზლისშვილები კარლო, ნელი, ნაირა, ბექო, ნატო, მურმან, მურადი მუშკუდიანები ოჯახებით იუწყებიან
**ოლია კოსტას ასული მუშკუდიანის**
გარდაცვალებას.

ლაშა ბურჯალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ლოლა ბურჯალიანის**
გარდაცვალების გამო.

ლაილაშის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს დოდო ელიანოვს დედის
**ვერა სვანიძის**
გარდაცვალების გამო.

იაშდიკო, სოზარ, უჩა, აბელ თემურ, ჯუსტან ბურჯალიანები, რამაზ მებრელი, დემურ აბაშიძე, თემურ ონიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მედიკო და ბიძინა ბურჯალიანებს მამისა და სიმამრის
**ევგენ გაგრატის ძე სილაგაძის**
გარდაცვალების გამო.

ინეზა, რეზო გიორგობიანები თანაუგრძნობენ მზია, მურთაზ სილაგაძეებს მამის
**ევგენ გაგრატის ძე სილაგაძის**
გარდაცვალების გამო.

მეზობლები მელორ დავითულიანი, ჟორა, ზენადი კვირკაშვილები, გიზო, თამაზ ბუგაძეები, მურად სილაგაძე თანაუგრძნობენ კარლო მეშველიანის ოჯახს
**იოსებ ხამაშურიძის**
გარდაცვალების გამო.

სტომატოლოგიური კაბინეტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია, კარლო მეშველიანებს
**იოსებ ხამაშურიძის**
და მარო ახვლედიანს დისშვილის
**კარლო გახსოლიანის**
გარდაცვალების გამო.

მელორ ხამარდაშვილი, მიშა ჯაბურია, რუბენ ჩაკვეტაძე, იოსებ რატიანი, დიტო გოგიძე, გენია ახვლედიანი, ტული ხაბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ კარლო მუშკუდიანს
**ოლიას**
გარდაცვალების გამო.

გიზო სალინაძე, გურგენ მუშკუდიანი ოჯახებით იუწყებიან
**ოლია მუშკუდიანის**
გარდაცვალებას.

კონრად კოპალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ევგენ სილაგაძის**
გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები თამაზ ლეთოდიანი, ანზორ კვირკაშვილი, კოსტა სილაგაძე, ოთარ სილაგაძე, მიტუშა გოგიძე, გურამ ლიპარტელიანი, მერაბ ყურაშვილი, ავთო ლიპარტელიანი, გურამ კოპალიანი, გიგი ლიპარტელიანი, გურამ ნემსწვერიძე, სოსო ფუტკარაძე, ჟორა მკუზულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ როსტომ, ვიოლა მუშკუდიანებს დედის
**ოლიას**
გარდაცვალების გამო.

ნოდარ, სოზარ ირემაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ სარა ფუტკარაძეს, ვარდო, გედეონ ირემაძეებს მეუღლის და ძმის
**ლადო ირემაძის**
გარდაცვალების გამო.

ბადრი სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ვიოლა, როსტომ, სულიკო, ციცი მუშკუდიანებს დედის
**ოლიას**
გარდაცვალების გამო.

ბრიზოლ ქომეთიანი, თამარ მუშკუდიანი, კარლო ცვარიანი, გურამ მუშკუდიანი, ზურაბ ნემსწვერიძე, თენგიზ ჩიქოვანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ოლია ქომეთიანი-მუშკუდიანი**

ზაზა ყურაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

სერაპიონ ახვლედიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

ჯემალ ჩიკვაიძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

სახელმწიფო ქონების მართვის ცაგერის რაიონული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაყვალა ახვლედიანს ბიძის
**ჯუმბერ კოპალიანის**
გარდაცვალების გამო.

შვილები გურგენ, რეზო მურცხვალაძეები, [illegible] რა, ნუნუ, [illegible] რა, ეკა, შვილიშვილები მა[illegible] ისო, კაკა, ვალიკო, მირიანი, მალანო, სიძე გია კვირკველია, შვილთაშვილები მიშიკო, მარიკა, ანა, სალომე, თამუნა, გიორგი იუწყებიან
**ლუდია ბესარიონის ასული მურცხვალაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 26 ივნისს, კვირას, სოფ. ჩხუტელში.

სულიკო ყურაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ვახტანგ კოპალიანის ოჯახს
**ჯუმბერ კოპალიანის**
გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები დემურ, ოთარ, ჯემალ, ავთანდილ, ანზორ, ნინა, ზაურ, ნინა გოლეთიანები, კარიტონ ბურჯალიანი, გიზო ჩაკვეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**შამშე გოლეთიანის**
გარდაცვალების გამო.

რეზო, ზაურ ყურაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ვახტანგ ახვლედიანი**

კოთა, ოთარ, ზურაბ, სეჩო ხაბულიანები, ოთარ კვარაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ოლია მუშკუდიანის**
გარდაცვალების გამო.

კახტანგ, იური, თემურ, კარლო კოპალიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლაიზე, ბადრი ლარცულიანებს დედის და სიდედრის
**ლოლა ბურჯალიანის**
გარდაცვალების გამო.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ სულიკო მუშკუდიანს დედის
**ოლიას**
გარდაცვალების გამო.

მაყვალა, თემურ კოპალიანები თანაუგრძნობენ ნოდარ ახვლედიანს ძმის
**ვახტანგ გიგას ძე ახვლედიანის**
გარდაცვალების გამო.

ზაურ ჯამბურიძე, გიზო ჩორგოლიანი, კოტე და ოთარ ლაკვეხელიანები ოჯახებით იუწყებიან
**კარლო გახსოლიანის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ჭირისუფალს

ლენორა, გურამ გიორგობიანები, მერი ხეცურიანი, თათარო ნემსწვერიძე, ანზორ ტვილდიანი თანაუგრძნობენ ლია, რეზო ჩხეტიანებს
**ბებიას**
გარდაცვალების გამო.

ტუკა ჩხეტიანი, სოსო მუშკუდიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**ვახტანგის**
გარდაცვალების გამო.

ჯუმბერ ბენდელიანი, რეზო ჩაკვეტაძე, ბესიკ ჭუმბურიძე ოჯახებით იუწყებიან
**ვახტანგ ახვლედიანის**
გარდაცვალებას.

ცაგერის რაიონული სტამბა.